



# კანონთა და ბუნებრივ უფლებათა კრებული

ამიერიდან სოხილისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის  
აგვისტოს 20.

№ 9.  
ბუნებრივება პირველი

ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

- მუხ. 698. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სამეცნიერო-საკვლევო, საცდელი, საცდელ-საჩვენებელ, ჯიშთან ცენტო მონაშენებელ და ცხოველთა მონაშენებელ დაწესებულებების სპეციალური სახსარის შექმნის შესახებ.
- „ 699. არასამიწათმოქმედო საშოვართა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრის წესისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთების ცხრილისა და შემოსავლიანობის ნორმების უცვლელად დატოვების შესახებ.
- „ 700. მანუფაქტურის მაქსიმალური უკიდურესი წანამატის შესახებ.
- „ 701. მატყლის ნაწარმოებთა ფასისა და მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატის შესახებ.
- „ 702. გლენთა მოსაწოდების უფლებების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დამყაფილების სფეროში.
- „ 703. სახელმწიფო სათესელ სესხის ნარჩენისათვის ქონების გაყიდვის წესის შესახებ.
- „ 704. სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების შესახებ.
- „ 705. 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განხორციელებისათვის ცენტრალური კომისიის დაარსების შესახებ.
- „ 706. ა/კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან პურ-ფურაჟის წარმოების შემფასებელი და ა/კფსრ პურ-ფურაჟის ბალანსის გამომრკვევი საექსპერტო განყოფილების დაარსების შესახებ.
- „ 707. იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც შემცირებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და კოლპერატიულ ორგანოთა მიერ თავიანთი მოქმედების ანგარიშებისა და მასალის გამოცემა.
- « 708. 1926-27 წლის სააღწერო ღონისძიებათა შესახებ.
- „ 709. იმ სოფელთა სივრცის სავალდებულო გაზომვის შესახებ, რომელნიც 1926 წლის საბუღებო დინამიურ აღწერაში შედიან.
- „ 710. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.
- „ 711. ამიერკავკასიის დებეშათა სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ.
- „ 712. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობის შესახებ.
- „ 713. ქ. ტფილისსა, ბაქოსა, ერევანსა და ბათოში ცალობითი ვაჭრობისათვის ზომის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

# დადგენილება № 26 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**698.** ა/კ სფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სამეცნიერო-საკვლევო, საცდელ, საცდელ-საჩვენებელ, ჯიშიან ცხენთა მოსაშენებელ და ცხოველთა მოსაშენებელ დაწესებულებებთან სპეციალური სახსარის შექმნის შესახებ.

სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სამეცნიერო-საკვლევო, საცდელ, საცდელ-საჩვენებელ, ჯიშიან ცხენთა მოსაშენებელ და ცხოველთა მოსაშენებელ დაწესებულებათა ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნებადართულ იქნეს, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ყოველ სამეცნიერო-საკვლევო, საცდელ, საცდელ-საჩვენებელ, ჯიშიან ცხენთა მოსაშენებელ და ცხოველთა მოსაშენებელ დაწესებულებასთან დაარსდეს სპეციალური ფულადი ფონდი, რომელსაც ამა თუ იმ დაწესებულების სპეციალური სახსარი ეწოდება.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ ფონდს შეადგენს:

ა) სამეცნიერო-საკვლევო, საცდელ, საცდელ-საჩვენებელ, ჯიშიან ცხენთა მოსაშენებელ და ცხოველთა მოსაშენებელ დაწესებულებათა და მათ დამხმარე საწარმოთა საცდელი და სამეტრნეო მუშაობის პროდუქტების რეალიზაციის შემოსავალი;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დამხმარება;

გ) საცდელი დაწესებულების გამოცემათა გაყიდვით მიღებული შემოსავალი და

დ) წუნ-დადებული საჯიშო ცხენებისა და ოთხფეხი საქონლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული თვითფული დაწესებულებათა ყოველწლიურად შეადგენს სპეციალურ სახსარის (როგორც შემოსავლის, ისე გასავლის) განსაკუთრებულ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ და უნდა დაერთოს სასოფლო-სამეურნეო საცდელი საქმის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვას.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა სპეციალური სახსარი დახარჯება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის საწარმოებლად, ხსენებულ დაწესებულებათა შესავსებად და გასაწყობად, შტატგარეშე მიწვეულ პერსონალის შესანახად და აგრეთვე სამეურნეო-საოპერაციო ხარჯების დასაფარავად.

**შენიშვნა.** სპეციალურ სახსართა ხელთკონებულობა და რაოდენობა სახარჯთაღრიცხვო ასიგნებებს ვერ შეამცირებს.

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სამეცნიერო-საკვლევო, საცდელ, საცდელ-საჩვენებელ, ჯიშთან ცენტა მოსაშენებელ და ცხოველთა მოსაშენებელ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის მიღებისა, შენახვისა და დახარჯვის წესი და აგრეთვე ანგარიშგების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რასაც გამოსცემენ ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები ამავე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

6. დაევალოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, შეადგინოს იმ დაწესებულებათა სია, რომლებზედაც ეს დადგენილება უნდა გავრცელდეს.

7. დადგენილება ესე შემოღებულ უნდა იქნეს სამოქმედოდ 1926—1927 საბიუჯეტო წლიდან.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჭუსენიშვი.**

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ნ. ხოკოლოვსკი.**

ტიფლისი-სასახლე 1926 წ. ივლისის 15.

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1241 №-ში 1926 წ. აგვისტოს 1-ს

## დადგენილება № 27 აკფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**699.** არასამიწათმოქმედო საშოვართა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის წესისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთების ცხრილისა და შემოსავლიანობის ნორმების უცვლელად დატოვების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926—27 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების შეფარდების წესის შესახებ 1926 წლის ივნისის 29-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (1926 წ. „იზვესტია“-ს 147 №-ი) თანახმად— ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საკუთარ სასოფლო მეურნეობაში მცხოვრები პირის სამუშაო ხელფასი, ვარდა დაბეგვრისაგან განთავისუფლების შემთხვევისა, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის აპრილის 25-ს დამტკიცებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებუ-



ლების მე-4 მუხლში, შეტანილ იქნეს მეურნეობის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ შემოსავალში—სამუშაო ხელფასის 20<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს რაოდენობით.

2. საკუთარ სასოფლო მეურნეობის გარეშე მცხოვრები პირის სამუშაო ხელფასი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება და გადასახადის გამოანგარიშების დროს ეს პირი მეურნეობის მკამელთა რიცხვში არ ჩაითვლება.

3. შინა-მრეწველური სარეწაოს და ხელოსნობის შემოსავალი, იმ შემთხვევაში, როცა მასზე გავრცელდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი,—დაიბეგრება 50<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს რაოდენობით

4. სხვა სახის არასამიწათმოქმედო საშოვარი, რომელზედაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ვრცელდება,—დაიბეგრება 70<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ის რაოდენობით.

5. რადგანაც სამუშაო ხელფასისა და სხვა სახის არასამიწათმოქმედო საშოვრისა (ა/კსტსრ სოფლის მეურნეობაში მათი მცირე მნიშვნელობის გამო) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება დიდ გავლენას ვერ მოაქვს ა/კსტსრ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კონტინგენტზე 1926-1927 წ., —ცნობილ იქნეს, რომ არც შემოსავლიანობის ნორმები, რაც სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებისათვის განსაზღვრულია ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის მაისის 27-ს დადგენილებით (ა/კსტსრ კანონთა კრებ., 1926 წ., № 5, მუხ., 665), და არც განაკვეთების ცხრილი, რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისათვის დაწესებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 24 მუხლით,—არ შეიცვლება.

ა/კ სტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.  
ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. სოკოლოვსკი.

ტფილისი—სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 5.  
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1245 №-ში 1924 წლის აგვისტოს 7-ს.

## დადგენილება № 3894 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

**700.** მანუფაქტურის მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატის შესახებ.  
(მოწესრიგების სამმართველო)  
1926 წლის ივლისის 31.

ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსტსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად ა/კსტსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავის 1925 წლის

იანვრის 5-ს თარიღითა და 23 №-ით, 1925 წლის მაისის 13-ს თარიღითა და 41 №-ით, 1926 წლის ივლისის 3-ს თარიღითა და 33/89 №-ით და 1926 წლის ივლისის 22-ს თარიღითა და 37/93 №-ით გამოცემულ დადგენილებათა გასაუქმებლად, —ადგენს:

1. საფეიქრო ნაკეთობათა ბითუმად გაყიდვა სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის საწყობებში და აგრეთვე იმ სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო აშხანაგობათა საწყობებში, რომელთაც მინიჭებული აქვთ საფეიქრო ნაწარმოების ბითუმად ვაჭრობის უფლება, — მოხდეს შემდეგი წანამატით სსრკ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ სათანადო ტრესტებისათვის დამატებულ პრეისკურანტებზე:

ა) უკეთუ საქონელი ეძლევა სახ. ვაჭრობას და კოოპერაციას:

საფეიქრო ნაწარ.	ბაქოში	ტფილისში	ერევანში	ქუთაისში	განჯაში	ბათუმში
ჯგუფის სახელწოდება						
ბამბის ქსოვილი . . . . .	9,8 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	10,8 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	11,25 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	11,60 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	10,50 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	11,60 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
შალი, კამეოლი, მაუდი.	7,45 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	7,75 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	8,15 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	8,15 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	8 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	8,15 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
სელი . . . . .	7,2 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	7,50 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	7,60 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	7,60 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	7,50 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	7,65 <sup>0</sup> / <sub>100</sub>

ბ) უკეთუ საქონელი ეძლევა კერძო ვაჭარს:

საფეიქრო ნაწარ.	ბაქოში	ტფილისში	ერევანში	ქუთაისში	განჯაში	ბათუმში
ჯგუფის სახელწოდება						
ბამბის ქსოვილი . . . . .	11,80 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	12,30 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	12,75 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	13,10 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	12 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	13,10 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
შალი, კამეოლი, მაუდი.	8,95 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,25 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,65 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,65 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,50 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,65 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
სელი . . . . .	8,70 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,10 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,10 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9 <sup>0</sup> / <sub>100</sub>	9,15 <sup>0</sup> / <sub>100</sub>

2. როდესაც ყველა ზემოაღნიშნულ ბოჭკოიან საფეიქრო ნაკეთობას კოოპერატიული ცენტრი და შენაერთი ბითუმად მიჰყიდის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მის სისტემაში შედის, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის ლიტერ „ა“-ში გათვალისწინებული წანამატი სათანადოდ ერთი პროცენტით გადიდდება.

3. ყველა ზემოაღნიშნული ბოჭკოიანი საფეიქრო ნაკეთობის წვრილ-ბითუმად გაყიდვის დროს წანამატი სათანადოდ ერთი პროცენტით გადიდდება იმ წანამატის დამატებით, რაც ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლით არის დაწესებული.

**შენიშვნა.** საბითუმო, ნახევრად-საბითუმო და ცალობით ვაჭრობის ცნებანი განსაზღვრულია ა/კფსრ შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის განსაკუთრებულ ინსტრუქციებში.



4. ყველა ზემოაღნიშნული ბოჰკოიანი საფეიქრო ნაკეთობის ცალობით გა-  
ყიდვა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაციის საგასაცემო ად-  
გილიდან და დუქნიდან უნდა მოხდეს ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანა-  
ხმად გამოანგარიშებულ ფასად შემდეგი მაქსიმალურ-უქიდურესი წანამატათ:

იმ ქალაქსა და ადგი- იმ ადგილას, რომელიც ა/კ.  
ლას, რომელიც ა/კ. რკინის გზის ხაზს და შორე-  
რკინისგზის ხაზს და- ბულია 50 კილომეტ-დე და  
შორებულია 25 კი- 50 კ. მეტად.  
ლომეტრამდე

ჯგუფის დასახელება.

ბამბის ქსოვილი, შალი,  
მაუდი, კამვოლი, სელი.

17<sup>0</sup>/<sub>0</sub> — 18<sup>0</sup>/<sub>0</sub>

19<sup>0</sup>/<sub>0</sub> 20<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

5. სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობათა და კოოპერატიულ ორგანიზაცი-  
ათა მიერ 1926 წლის ივლისის 20-დე ურთიერთშორის მანუფაქტურის გაყიდ-  
ვის შესახებ დადებული ყველა საბითუმო გარიგებისთვის ანგარიშის ხელახალი  
გასწორება ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად უნდა მოხდეს.

6. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთ ა/კსფსრ შედგე-  
ნილობაში შემავალ რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადგენონ ამა დად-  
გენილების სისწორით შესრულებას.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიიციემა პასუხისგებაში სა-  
თანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-  
ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის ა/წ. აგვისტოს 1-დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი ერქომაიშვილი.

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი ნოვიკოვი.

საქმეთა მმართველი ჩაკერტი.

გამოქვეყნებულია „ზარიან ვოსტოკა“-ს 1246 №-ში 1926 წლის აგვისტოს 8-ს.

## დადგენილება № 3995 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სა- ხალხო კომისარიატისა.

**701.** მეტალის საქონლის ფასისა და მაქსიმალურ-უქიდურესი წა-  
ნამატის შესახებ.

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წლის აგვისტოს 6.

ა/კ. ცენტრალული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ შინა-ვაჭ-  
რობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულებების შესახებ 1924 წლის ივ-  
ნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის  
თანახმად—ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი 1925 წლის  
ივლისის 10-ს თარიღითა და 46 №-ით გამოცემული დადგენილების გასაუ-  
ქმებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი ფასები მეტალის ქვე-მოჩამოთვლილ საქონელზე, როდესაც იგი გაიყიდება ბითუმად სახელმწიფო და კოოპერატიულ სამრეწველო საწარმოთა და მათ სავაჭრო შენაერთთა მიერ თვით წარმოების ადგილას ფრანკო-ვაგონი საერთო სარგებლობის რკინისგზის სადგური:

მეტალის საქონლის კატეგორია	სამხრეთის და ურალის, ჩრდ. ვიატ. ოლქისა და წით. ოქ- ტომბრის ქარ- ხნებიდან გა- მოტანილი მე- ტალის ნაკე- თობის ფასი	ცენტრის კახნე- ბიდან გამოტანი- ლი მეტალის ნა- კეთობის ფასი.	მოსკოვის და ოლ- სინგრაძის კახნე- ბიდან გამოტანილი მეტალის ნაკეთო- ბის ფასი.
1. თუჯი გაკეთებულ ტონა . . . . .	58 მან.	—	—
2. თუჯი ჩამოსხმული № I ტონა . . . . .	63 მან.	—	—
3. რკინა ხარისხიანი ტონა . . . . .	125 მან.	131 მან.	142 მან.
4. რკინა ფურცლოვანი ტონა . . . . .	141 მან.	147 მან.	156 მან.
5. რკინა სახურავი (3 ხარ. 11 გირ.) ტონა . . . . .	175 მან.	181 მან.	—
6. კოჭი და ქერის ძელი ტონა . . . . .	125 მან.	131 მან.	—
7. მავთული დახვეული 1/4 დ. ტონა . . . . .	125 მან.	131 მან.	140 მან.
8. მავთული № 8 ტონა . . . . .	203 მან.	203 მან.	215 მან.
9. მილი საგაზო 3/4 დ. ტონა . . . . .	376 მან.	—	—
10. ლურსმანი მავთულისა № 8, 100 მ.მ. ერთი ოც კილოგრ. ყუთი ნეტო . . . . .	4 მ. და 81 კ.	4 მ. და 81 კ.	5 მ. და 61 კ.
11. თუჯის მილი წყალსად. 8-დან 18 დ-დე ტონ.	163 მან.	180 მან.	—
12. რკინა მოთუთიანებული 2 ხარ. 10 გირ. ტონა	360 მან.	—	—
13. თუნუქი სათაროვ 3 ხარ. ტონა . . . . .	427 მან.	—	443 მან.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ძირითადი ფასების ყველა ზედმეტი სასყიდელი დაწესდება ერთი-და-ნახევრის რაოდენობით იმ ზედმეტ სასყიდელთან შედარებით, რაც აღნიშნულია მეტალის მრეწველობის სინდიკატის კონვენციის მიერ გამოქვეყნებულ პრეესკურანტში ვარდა სასალტე რკინისა მე-18 №-ზე ზევით, ნაჭიმი მავთულისა მე-12 №-ზე ზევით 19-მდე—ამ ნომრითურთ—და ლურსმნისა მე-10 №-ზე ზევით, რომელთათვისაც ზედმეტი სასყიდელი ერთიორად ითვლება.

3. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი წანამატი მეტალის საქონლის ვაჭრობისათვის:

ა) როცა ვაჭრობა ბითუმად სწარმოებს და საქონელი საკუთარ საწყობში არ მიიტანება (ტრანზიტით)—არა უმეტეს 2,5 პროცენტისა ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლით დაწესებულ ფასზე;

ბ) როცა ვაჭრობა ბითუმად სწარმოებს და საქონელი საკუთარ საწყობში მიიტანება—არა უმეტეს 6 პროცენტისა ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლით დაწესებულ ფასზე;

გ) წერილ-საბითუმო ვაჭრობისათვის 1-ლი და მე-2 კატეგორიის წანამატი შემდეგ ნორმას არ უნდა აღემატებოდეს:

მეტალის საქონლის კატეგორია	წერილ-საბით. ვაჭრ. 1-ლი კატ. $\frac{\text{წილი}}{\text{წილი}}$ -ით	წერილ-საბით. ვაჭრ. მე-2 კატ. $\frac{\text{წილი}}{\text{წილი}}$ -ით
1. რკინა სახურავი ღარიანი და მოთუთიავებული . . . . .	8	8—12
2. რკინა ხარისხიანი და სასალტე, კოკი, რელსი და ჭერის ძელი	11	13
3. მავთული ნაკიმი . . . . .	8	8—12
4. ლურსმანი, ტანკიკი, ქანჩა . . . . .	8—9	9—12
5. ტურტელი თუჯისა და რკინისა მინანქრიანი . . . . .	10	12
6. მილი საგაზო . . . . .	10	12
7. თუნუქი . . . . .	8	10—12
8. ხრახნილა (შურუბი) . . . . .	10	12

**შენიშვნა.** ამა პუნქტში აღნიშნული წანამატი დაერიცხება 1-ლი და მე-2 მუხლით დაწესებულ ფასებს, + ამა დადგენილების მე-4 მუხლის ლიტ. „ა“-ში (ტრანზიტი) ან „ბ“-ში (ბითუმად ვაჭრობა საწყობში) გათვალისწინებული წანამატი.

დ) ცალობით ვაჭრობისათვის წანამატი არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ნორმას:

მეტალის საქონლის კატეგორია.	$\frac{\text{წილი}}{\text{წილი}}$ ზედნართი.
1. რკინა სახურავი, ღარიანი და მოთუთიავებული . . . . .	11
2. რკინა ხარისხიანი, სასალტე, კოკი, ჭერის ძელი და რელსი . . . . .	15
3. მავთული ნაკიმი . . . . .	13
4. ლურსმანი, ტანკიკი, ქანჩა . . . . .	13
5. ტურტელი თუჯისა და რკინისა მინანქრიანი . . . . .	16
6. მილი საგაზო . . . . .	16
7. ფიტინგი მილისათვის . . . . .	16
8. თუნუქი . . . . .	11
9. ხრახნილა . . . . .	17



**შენიშვნა.** ამა პუნქტში აღნიშნული წანამატი დაერიცხება 1-ლი და მე-2 მუხლით დაწესებულ ფასებს, + ამა დადგენილების მე-3 მუხლის ლიტერა „გ“-ში (ნახევარ-ბითუმში) და „ა“-ში ან „ბ“-ში გათვალისწინებული წანამატი.

4. ამა დადგენილების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ წანამატებში არ შედის ფრახტისა და საქონლის შარავზით გადახდივის ღირებულება, რაც საქონლის საბოლოო ღირებულებას უნდა დაერიცხოს.

5. მეტალის საქონლის საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობითი ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ფარგლები:

მეტალის საქონლის კატეგორია	ბითუმი	ნახევარ-ბითუმი.		ცალობით.
		I კატეგორია	II კატეგორია.	
1. რკინა სახურავი, ღარიანი და მოთუთიავებული	500 ფ. და მეტი	50 ფუთიდან 499 ფუთამდე.	5 ფ-დან 49 ფ-დე	5 ფუთამდე
2. რკინა ხარისხ., სასალტე, კოჭი, რელსი და ჭერის ძელი . . . . .	"	"	"	"
3. მავთული ნაჭიმი . . . . .	"	"	"	"
4. ლურსმანი . . . . .	300 ფ. და მეტი	50-დან 299 ფ-დე	1-დან 49 ფ-დე	1 ფ-მდე
5. განჭიკი, ქანჩა . . . . .	50 ფ. და მეტი	25-დან 49 ფ-დე	1-დან 24 ფ-დე	1 ფ-მდე
6. ჭურჭელი თუჯისა . . . . .	200 ფ. და მეტი	25-დან 199 ფ-დე	1-დან 24 ფ-დე	1 ფ-მდე
7. ჭურჭ. რკინ. მინანჭრ.	50 ფ. და მეტი	10-დან 49 ფ-დე	1-დან 9 ფ-დე	1 ფ-მდე
8. მილი საჯახო . . . . .	1000 ფ. და მეტი	500-დან 999 ფ-დე	50-დან 499 ფ-დე	50 ფ-მდე
9. ფიტინგი მილისათვის . . . . .	500 მ. და მეტი	250-დან 499 მ-დე	25-დან 249 მ-დე	25 მ-მდე
10. თუნჯი . . . . .	100 ყუთი და მეტი	50ყუთიდან 99-დე	1-დან 49 ყ-დე	1 ყ-მდე
11. ხრახნილა . . . . .	250 მ. და მეტი	125 მ-დან 249-დე	15-დან 124 მ-დე	15 მ-მდე

6. ამა დადგენილებით დაწესებული წანამატის ნორმები გავრცელდება აგრეთვე დღემდე ჩაუხარებელ საქონელზე, რაც ჩაბარებულ უნდა ყოფილიყო წინა დადებული გარიგების თანახმად.

7. ა/კ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.



8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დანაშაუვს პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.  
ა/ კასტერ შინა-ვაჭრობის

სახალხო კომისარი ა. ერქომაიშვილი.

მოწესრიგების სამართველოს უფროსი ნოვიკოვი.

საქმეთა მმართველი ჩაკერეტი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1248 №-ში 1926 წელს აგვისტოს 11-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრუ- ლებელი კომიტეტისა.

**702.** გლახთა მოსახლეობის უფლებების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში.

ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში გლახობის საზოგადოებრივი თვითმოქმედებისათვის ხელის შესაწყობად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. უფლება მიეცეს მოქალაქეთა საერთო კრებას—რაიონების ყრილობას: სოფლისა, სოფელთა ჯგუფისა და უბან-დაირა-თემის მასშტაბით გამოიტანონ დადგენილება:

ა/ ადგილობრივი კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების ცალკე საჭიროებათა საკუთარი სახსარით დაკმაყოფილების შესახებ—საგზაო და სასკოლო მშენებლობისა, წყალის გაყვანისა და სხვ. სფეროში;

ბ/ იმ სახსარის რაოდენობის შესახებ, რაც საჭირო იქნება განზრახული ღონისძიების განსახორციელებლად; ხსენებული სახსარის სახეთა შესახებ (ფულად და ნატურად); ნატურალური სახსარის ფულად გადანაცვლების საფუძველთა შესახებ; ცალკე მოქალაქეთა შორის საჭირო სახსარის განაწილების შესახებ; მოქალაქეთა კატეგორიის ან ცალკე პირების ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობისაგან განთავისუფლების შესახებ და სხვ.

გ/ აღმასრულებელ და სარევიზიო ორგანოთა შესახებ.

2. მოქალაქეთა საერთო კრება—ყრილობა მოიწვევა თვით მოქალაქეთა, ან სოფლის საბჭოს ან და საუბნო, სადაირო და სათემო აღმასკომის თაოსნობით; შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას სათანადო პუნქტის ამომრჩეველთა ორი მესამედი მაინც დაესწრება.

3. საერთო კრებაში დადგენილება მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით და ეს დადგენილება საუაღდებულოა სათანადო პუნქტის ყველა მოქალაქისათვის.

4. მოქალაქეთა საერთო კრების—ყრილობის დადგენილება საბოლოოა და

სისრულეში მას შემდეგ მოიყვანება, რაც იგი დამტკიცებულ იქნება სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საუბნო, საღაირო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენისამებრ.

5. საერთო კრების დადგენილების თანახმად შეგროვილი სახსარი დაიხარჯება მხოლოდ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული მიზნისათვის.

6. მოქალაქეთა საერთო კრების—ყრილობის მიერ არჩეული ყველა ორგანო (ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ვ“ პუნქტი) ანგარიშვალდებულია მოქალაქეთა საერთო კრების წინაშე, რომელსაც მუშაობის დასრულებისას და მუშაობის წარმოების დროის განმავლობაში, საჭიროებისდა მიხედვით მოიწვევს როგორც საკუთარი ორგანო, ისე მოქალაქენიც.

7. მეთვალყურეობის გაწევა, რათა შეგროვილი სახსარი მიზანშეწონილად და მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილების თანახმად იხარჯებოდეს,—დაეკისრება საუბნო, საღაირო და სათემო აღმასრ. კომიტეტებს—კუთვნილებისამებრ.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ამა დადგენილების საფუძველზე გამოსცენ სათანადო დადგენილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 9.

გამოქვეყნებულია „ხსრია ვოსტოკა“-ს 1249 №-ში 1926 წლის აგვისტოს 12-ს

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**703.** სახელმწიფო სათესლე სესხის ნარჩენისათვის ქონების გაყიდვის წესის შესახებ.

რათა სახელმწიფო სათესლე ფონდს თავის დროზე დაებრუნოს გაცემული სათესლე სესხი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადასახადება გადახდევინების დებულების შეცვლის შესახებ 1926 წლის თებერვლის 12-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრ კანონთა კრებ., 1926 წ., № 8, მუხ. 56) მე-2 მუხლის მოქმედება გაორცელებულ იქნეს სახელმწიფო სათესლე სესხის გადახდევინებაზე.

2. ამისდამიხედვით სახელმწიფო სათესლე სესხის ნარჩენისათვის აწერილი ჭონების გაყიდვა, შენობების გარდა, მოხდება საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, თანაც ეს დადგენილება დაუყოვნებლივ ეცნობება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს და მოიცვანება სისრულეში, უკეთეს ათი დღის განმავლობაში მიღებულ არ იქნება ცნობა, რომ სამაზრო აღმასრ. კომიტეტი ამ დადგენილების წინააღმდეგია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
 კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური  
 აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 9.

გამოქვეყნებულია „ზარიი ვოსტოკა“-ს 1249 №-ში 1926 წლის აგვისტოს 12-ს.

## დადგენილება აზიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 704. სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იენისის 4-ს დადგენილების (სსრკ კანონთა კრებული, 1926 წ., № 40, მუხ. 290) თანახმად აკსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„შრომის კანონთა კოდექსის (ა/კ. ს. ს. რ. ფედ. კავშ. კანონთა კრებ., 1923 წ. № 7, მუხ. 89) 34 მუხლს დაემატოს შემდეგი:

„34<sup>1</sup>. გარდა 34 მუხლში გათვალისწინებულ საშრომო ხელშეკრულებათა, შეიძლება დადებულ იქნეს აგრეთვე საშრომო ხელშეკრულება სასეზონო სამუშაოსათვის, რისთვისაც დაკულ უნდა იქნეს ქვემოაღნიშნული მუხლები.

34<sup>2</sup>. სასეზონო სამუშაოდ ჩაითვლება ისეთი სამუშაო, რომელიც დამოკიდებულია ბუნებრივ და კლიმატიურ პირობებზე და ამის გამო არ კეთდება მთელი წლის განმავლობაში, არამედ განსაზღვრულ პერიოდში, რაც ექვს თვეს (სეზონს) არ აღემატება.

**შენიშვნა.** სასეზონო სამუშაოთა ნუსხას სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებისათვის შეიმუშავებს დაინტერესებული უწყება და დაამტკიცებს სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი, პროფ. კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

ადგილობრივი პირობების მიხედვით შეიძლება დაწესებულ იქნეს სასეზონო სამუშაოთა დამატებითი ნუსხა (რკინისგზის ტრანსპორტისა, წყალსაგალი გზისა და სახალხო კავშირგაბმულობის სამუშაოთა გარდა), რასაც შეიმუშავენ დაინტერესებული სახელმწიფო ორგანო და დამატკიცებს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი, რესპუბლიკანურ პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

34<sup>3</sup>. იმ პირობებზე, ვინც სასეზონო სამუშაოში დაქირავებით მუშაობს, გაცემულია შრომის საერთო კანონმდებლობა ამა დადგენილებაში გათვალისწინებული გამონაკლისით.

34<sup>4</sup>. სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობები მოწესრიგდება ამა თუ იმ საწარმოში, დაწესებულებაში ან მეურნეობაში მომქმედი კოლექტიური ხელშეკრულებით (სატარიფო შეთანხმებით) ამ ხელშეკრულებითვე (სატარიფო შეთანხმება) გათვალისწინებულ შემთხვევასა და ფარგალში. სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობები აგრეთვე შეიძლება მოწესრიგებულ იქნეს ცალკე კოლექტიური ხელშეკრულებით (სატარიფო შეთანხმებით).

34<sup>5</sup>. სასეზონო სამუშაოში მუშა-ხელის დაქირავების დროს საშრომო ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს: ა) ვადით—მილად სეზონის განმავლობაში, ბ) განსაზღვრული ვადით, გ) რაიმე სამუშაოს გათავებამდე, დ) განუსაზღვრელი ვადით.

34<sup>6</sup>. როდესაც დროებით საქმე არ არის, დაქირავებული შეიძლება გამოკენებულ იქნეს სხვა სამუშაოზე; თანაც, უკეთეს დროებით სამუშაოში ხელფასი ნაკლებია, დაქირავებულს ორი კვირის განმავლობაში უნდა შეენახოს წინანდელი სატარიფო განაკვეთი.

34<sup>7</sup>. საშრომო ხელშეკრულება გაუქმდება, მხარეთა შეთანხმებით და აგრეთვე ქირავნობის ვადის გასვლის გამო ან ხელშეკრულებაში შეპირებული სამუშაოს შესრულების გამო, ხოლო არა უგვიანეს სეზონის გათავებისა.

34<sup>8</sup>. საშრომო ხელშეკრულება შეიძლება მოშლილ იქნეს დაქირავებულის მიერ, ხოლო ამის შესახებ სამი დღით მან ადრე უნდა გააფრთხილოს დამქირავებელი.

34<sup>9</sup>. დამქირავებელს შეუძლიან საშრომო ხელშეკრულება მოშალოს:

ა) უკეთეს მოხდება საწარმოს, დაწესებულებისა თუ მეურნეობის სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია და აგრეთვე სამუშაოს შემცირება;

ბ) უკეთეს მუშაობა წარმოებითი ხასიათის მიზეზების გამო ორ კვირაზე მეტი ხნით შეჩერდება;

გ) უკეთეს დაქირავებული სამუშაოსათვის არ გამოდგება;

დ) უკეთეს დაქირავებული სისტემატიურად და არაპატივისცემად მიზეზით არ შეასრულებს ხელშეკრულებით ან შინა-განრიგების წესებით დაკისრებულ მოვალეობას;

ე) უკეთეს დაქირავებული მიცემულ იქნება სისხლის სამართალში ისეთი ქმედობის ჩადენისათვის, რაც უშუალოდ მის მუშაობასთან არის დაკავშირებული, ან უკეთეს დაქირავებული დაპატიმრებულ იქნება ორ კვირაზე მეტი ხნით;

ვ) უკეთუ დაქირავებული არაპატივისცემები მიზეზით თვეში სამ დღეზე მეტს გააცდენს;

ზ) უკეთუ დაქირავებული სამუშაოზე არ ივლის ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის გამო და ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში — სხვა პატივისცემები მიზეზის გამო.

**შენიშვნა 1.** ამა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უკეთუ დაქირავებული სასეზონო სამუშაოში ფაქტიურად ერთ თვეზე ნაკლებ ხანს მუშაობდა, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის წინასწარი გადაწყვეტილება საჭირო არ არის, ხოლო დაქირავებულს უფლება აქვს დათხოვნა საკონფლიქტო წესით განასაზივროს.

**შენიშვნა 2.** საჩივარ არასამართლიანი დათხოვნის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა დათხოვნის დღიდან.

34<sup>10</sup>. პრეტენზია ანგარიშის არასამართლიანად გასწორების შესახებ განკუთვნილ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა სამუშაოდან დათხოვნის გამო საბოლოო ანგარიშის გასწორების დღიდან.

34<sup>11</sup>. სასეზონო სამუშაოში მოზრდილ მუშათათვის სამუშაო დრო დაწესებულია დღეში 8 საათი, ხოლო ეს დრო, არსებული წესების მიხედვით, სათანადოდ უნდა შემცირდეს იმ პირთათვის, ვინც მიწის ქვეშ და მავნებელ სამუშაოზე მუშაობს, აგრეთვე, სათანადოდ შემთხვევაში, იმ პირთათვის, ვინც საკონტროლო და გონებრივ შრომას ეწევა.

როდესაც სასეზონო სამუშაოში, ბუნებრივი და ტექნიკური პირობების გამო, საჭიროა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში წარმოებულ იქნეს განსაკუთრებით გაძლიერებული მუშაობა, დაქირავებლისა და სათანადო პროფ. კავშირის შეთანხმებით, შეიძლება გადიდებული სამუშაო დღის შემოღება განსაზღვრული ვადით, ხოლო ამ შემთხვევაში თანაბრად უნდა გადიდდეს სამუშაო ხელფასიც. გადიდებული სამუშაო დღის ხანგრძლივობა, მისი მოქმედების ვადა და აგრეთვე გასამრჯელოს მიცემის წესი განისაზღვრება დაქირავებლისა და პროფ. კავშირის ურთიერთშორის შეთანხმებით. იმ სამუშაოთა სიას, რომლებშიც შეიძლება შემოღებულ იქნეს გადიდებული სამუშაო დღე, — შემომუშავებს სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი პროფ. კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

34<sup>12</sup>. სამუშაო დღე არასრულწლოვან პირთათვის 16-დან 18 წლამდე არ შეიძლება აღემატებოდეს 6 საათს. ხოლო სამუშაოზე მიღებულ არასრულწლოვანთათვის 14 დან 16 წლამდე — 4 საათს.

იმ სასეზონო სამუშაოში, სადაც გადიდებული სამუშაო დღეა შემოღებული (მუხ. 10), არასრულწლოვანთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა გადიდდება იმდენი სათით, რამდენიც ეთანაბრება მოზრდილთა სამუშაო დღის გადიდებას.

34<sup>13</sup>. ზედმეტი მუშაობის წარმოება შეიძლება სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა და მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატების მიერ განსაზღვრული წესითა და რაოდენობით.

34<sup>14</sup>. სასეზონო სამუშაოში ღამით ქალების მუშაობა შეიძლება, გარდა ორსული და მავრებელი ქალებისა.

34<sup>15</sup>. არასრულწლოვანთა შვიმოკლებული სამუშაო დღისათვის (4—6 საათი) ხელფასი მიეცემათ როგორც სრული დღისათვის. უკეთუ არასრულწლოვანთა სამუშაო დღე გადიდდება, თანაბრად სამუშაო ხელფასიც უნდა გადიდდეს.

34<sup>16</sup>. უკეთუ დაქირავებული სამუშაოს არ ასრულებდა დაქირავებლის განკარგულებლით, გასამრჯელო გაცდენილი დროისთვის, ხოლო არა უმეტეს ორი კვირისა, მიეცემა სატარიფო განაკვეთის რაოდენობით. სხვა შემთხვევაში, როცა დაქირავებული სამუშაოს არ ასრულებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა დაქირავებული მუშაობას არ ასრულებს დაქირავებლის განკარგულებით ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში, გასამრჯელოს რაოდენობა გაცდენილი დროისათვის დაწესდება მხარეთა შეთანხმებით.

34<sup>17</sup>. არსებულ კანონმდებლობით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირთათვის დაწესებული შეღავათი სათანადო შემთხვევაში გავრცელდება სასესონო სამუშაოში მომუშავე პირზე შემდეგი გამოწესებით:

ა) თანადგობა და ხელფასი დაწესებული რაოდენობისა მომუშავეს არ შეენახება ერთ თვეზე მეტ ხანს და, ყოველ შემთხვევაში, იმ ვადაზე მეტ ხანს, რაც მე-6 მუხლშია აღნიშნული;

ბ) ერთდროული დახმარება გაიცემა ნახევარი რაოდენობით.

34<sup>18</sup>. დაქირავებელი ვალდებული არ არის დაქირავებულს ხელფასი აძლიოს იმ დროს განმავლობაში, როცა იგი (დაქირავებული), როგორც წარმომადგენელი, მონაწილეს მთავარ პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ მოწვეულ ყრილობასა, კონფერენციასა და რწმუნებულთა კრებაში.

34<sup>19</sup>. უკეთუ დაქირავებლის განკარგულებით დაქირავებული ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე იქნა გადაყვანილი, დაქირავებულს უნდა აენახა ლაურის საგზაო ხარჯი და აგრეთვე უნდა მიეცეს სამუშაო ხელფასი იმ დროისათვის, რაც გზაში იქნება—მხარეთა შეთანხმებისამებრ განსაზღვრული რაოდენობით. სხვა სახის კომპენსაციის მიცემა მხარეთა შეთანხმებით მოხდება.

34<sup>20</sup>. კომპენსაცია დაქირავებულის კუთვნილი იარაღების გაცვეთისათვის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება სამუშაო ხელფასში შედიოდეს.

34<sup>21</sup>. ის პირი ვინც დაწესებულებისა, საწარმოს თუ მეურნეობის ლიკვიდაციისა, სამუშაოს შემცირებისა ან და სამუშაოს ორ კვირაზე მეტი ხნით (მე—9 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტი) შეჩერების გამო დათხოვნილ უნდა იქნეს, უკეთუ მას სამუშაოში ერთ თვეზე მეტხანს უმუშაენია, დაქირავებელმა იგი ერთი კვირით ადრე უნდა გაათხოვნილოს დათხოვნის შესახებ, ხოლო ვინცობა არ გაათხოვნილებს,—უნდა მისცეს მას გამოსასვლელი დახმარება ერთი კვირის საშუალო ხელფასის რაოდენობისა.

როცა დაქირავებული დათხოვნილ იქნება სხვა შემთხვევის გამო და, სხვათა შორის, სეზონის გათავების გამოც,—გათხოვნილება და გამოსასვლელი დახმარების მიცემა სავალდებულო არ არის.

უკეთუ დაქირავებელი დაარღვევს თავის თავზე მიღებულ მოვალეობას და ამის გამო დაქირავებული ხელშეკრულებას მოშლის, უკანასკნელს უფლება აქვს მიიღოს გამოსასვლელი დახმარება ერთი კვირის საშუალო ხელფასის რაოდენობით.



34<sup>22</sup>. სასეზონო სამუშაოში მომუშავე პირს შვებულების ან საამისო კონპენსაციის მიღების უფლება არა აქვს.

34<sup>23</sup>. სასეზონო სამუშაოში მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევის საქმე მოწესრიგდება შრომისა და თავდაცვის საბჭოს სპეციალურ დადგენილებათა თანახმად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ს. ხანოიანი.

აქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

ტფილისი—სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 9.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1250 №-ში 1926 წლის აგვისტოს 13-ს.

## დადგენილება № 28 აქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

705. 1926-1927 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განხორციელებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ცენტრალური კომისიის დაარსების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926-27 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1926 წლის აპრილის 25-ს დამტკიცებული დებულების (სსრკ კანონთა კრებ., 1926 წ., № 30, მუხ. 191) 51 მუხლის საფუძველზე—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდეს 1926-1927 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განხორციელებელი ცენტრალური კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—ამხ. ე. ბ. გენკინი, წევრები: აკ. ფინანსთა სახ. კომისარიატიდან—ამხ. ც. მ. ბელენკი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი, ვ. ა. დენისოვი; ა/კ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველოდან—ამხ. გ. მ. გრიგორიანი; ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოდან ამხ. ს. ს. იაკუბოვი; აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატიდან—ამხ. პ. პ. მედვედევი, სომხეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატიდან—ამხ. ათაბეგოვი და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატიდან—ამხ. ხოფერია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. სოკოლოვსკი.

ტფილისი-სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1251 №-ში 1926 წლის აგვისტოს 14-ს.



## დადგენილება აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**706.** ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან პურისა და ფურაჟის წარმოების შემფასებელი და ა/კსფსრ პურისა და ფურაჟის ბალანსის გამომრკვევი საექსპერტო განყოფილების დაარსების შესახებ.

ა/კსფსრ პურისა და ფურაჟის წარმოების შეფასების საქმის გასაერთიანებლად და მოსაწესრიგებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან დაარსებულ იქნეს ა/კსფსრ პურისა და ფურაჟის წარმოების შემფასებელი და ფედერაციის პურისა და ფურაჟის ბალანსის გამომრკვევი საექსპერტო საბჭო.

2. საექსპერტო საბჭოს დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს ა/კსფსრ პურისა და ფურაჟის წარმოების შეფასებისა და პურისა და ფურაჟის ბალანსის გამომრკვევის წესი და საშუალება;

ბ) დაადგინოს და გამოაქვეყნოს, ა/კსფსრ ცენტ. სტატისტ. სამმართველოს მეშვეობით, პურისა და ფურაჟის წარმოების შეფასება და პურისა და ფურაჟის ბალანსის გამოანგარიშება.

3. უფლება მიეცეს საექსპერტო საბჭოს მოსთხოვოს ყველა უწყებასა და დაწესებულებას ყოველგვარი ცნობა და მასალა, რაც მათ განკარგულებაშია და რასაც შეუძლიან ხელი შეუწყოს ა/კსფსრ პურისა და ფურაჟის წარმოების სწორ შეფასებას და პურისა და ფურაჟის ბალანსის სათანადოდ გამომრკვევას. საბჭოს სამუშაო აპარატად ა/კსფსრ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს აპარატი ჩითვალოს.

4. საექსპერტო საბჭოს მიერ დადგენილი ა/კსფსრ პურისა და ფურაჟის წარმოების შეფასება და პურისა და ფურაჟის ბალანსის გამოანგარიშება გამოქვეყნებულ იქნეს ხოლმე საყოველთაო ცნობისათვის.

5. საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს მუშაობის შესახებ პერიოდულად წარუდგენს ხოლმე მოხსენებას ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს


თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ნ. ხოკოლოვსკი.**

ტფილისი—სასახლე 1926 წლის აგვისტოს 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1251 №-ში 1926 წლის აგვისტოს 14-ს.



## დადგენილება № 30 აქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**707.** იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც შემცირებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოთა მიერ თავიანთი მოქმედების ანგარიშებისა და მასალების გამოცემა.

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოთა მოქმედების ანგარიშებისა და მასალების ბეჭედის შესამცირებლად, ამ საქმეში საჭირო წესის დასამყარებლად და ბეჭედისათვის ისეთი მასალის შესარჩევად, რასაც არა მარტო იმ დაწესებულებისა და საწარმოსათვის ექნება მნიშვნელობა, რომელიც მას აქვეყნებს, არამედ უფრო ფართო ინტერესს წარმოადგენს, და აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წლის მაისის 19-ს გამოცემული დადგენილების (იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც შემცირებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოთა მოქმედების ანგარიშებისა და მასალის გამოცემა.—სსრკ კანონთა კრებ. 1926 წ. № 37, მუხ. 278) აღსასრულებლად აქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და მის შემდგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო დაწესებულებას და ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოს შეუძლიან გამოსცენ თავისი მოქმედების მასალები და ანგარიშები მარტოოდენ სათანადო უწყების უფროსის ნებართვით, რომელსაც დაეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა აღნიშნული მასალებისა და ანგარიშების გამოქვეყნების მიზანშეწონილობისათვის.

2. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ორგანოს არ შეუძლიან მასალებისა და ანგარიშების ბეჭედისათვის საჭირო ხარჯი სათანადო ხაჯთალრიცხვით გათვალისწინებულ ფარგალს გადააცალოს, ხოლო კომერციული ანგარიშის ნიადაგზე მოქმედი საწარმოს მიერ იმავე მიზნისათვის გასაწევი ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ საწარმოს ფინანსიური გეგმით და არ უნდა გადასცილდეს აღნიშნული გეგმით განსაზღვრულ დანიშნულებათა ფარგალს.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირსა და რესპუბლიკანურ ცენტრებს წინადადება ეძლევათ განახორციელონ სათანადო ღონისძიებისადმი კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა მოქმედების სფეროში.

4. აქსფსრ შემდგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება ეძლევათ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოებს დააკისრონ კონტროლის ვაწევა, რათა სახელმწიფო ორგანოების მოქმედების მასალები და ანგარიშები გამოიცემოდეს ხოლმე

მარტოოდენ ამა დადგენილების 1-ლ და მე-3 მუხლში გათვალისწინებული სანე-  
ბართვო წესის დაცვით.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. სოკოლოვსკი.

ტფილისი—სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1252 №-ში 1926 წლის აგვის-  
ტოს 15-ს.

## დადგენილება ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**708. 1926-27 წ. სააღწერო ღონისძიებათა შესახებ.**

რათა 1926-27 წლის სრულიად საქავშირო აღწერა ა/კსტსრ ტერიტო-  
რიაზე წარმატებით განხორციელდეს,—ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო  
ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სა-  
ხალხო კომისართა საბჭოებს:

1. დაავალონ სასოფლო და სათემო საბჭოებს, რათა მათ შეამოწმონ და  
და შეადგინონ, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა, სახლის პატრონთა სიები  
სოფლად, სადაც უნდა აღნიშნონ ნომრები რიგზე, გვარი სახელი და მამის სა-  
ხელი და აგრეთვე თვითიველი ოჯახის შემადგენელ წევრთა რიცხვი.

2. დაავალონ საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა  
მათ გამოარკვიონ და აღნიშნონ ნატურად, არა უგვიანეს იმავე ოქტომბრის  
1-სა, ყველა ქუჩისა და შესახვევის სახელწოდება ქალაქებში და ქალაქის ტი-  
პის დასახლებულ ადგილებში და აგრეთვე ყველა მფლობელობას გაუკეთონ  
ნომერი ნატურად. ქ. ტფილისსა, ბაქოს, ერევანსა, ქუთაისსა, განჯასა, ბათო-  
სა და ლენინაკანში ნომრები ბინებსაც უნდა დაესვას.

3. დაავალონ საქალაქო და სამაზრო აღმასრ. კომიტეტებს, რათა მათ შე-  
ამოწმონ ნატურად ქალაქთა გეგმები, ხოლო სადაც გეგმა არ არის, შეადგი-  
ნონ ახალი სქემატიური გეგმა ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ად-  
გილისა (ა/წ. ოქტომბრის 1-სათვის).

4. დაავალონ საქალაქო და სამაზრო აღმასრ. კომიტეტებს, რათა მათ აღ-  
ნიშნონ გეგმაზე (მუხ მე-3) ქალაქის მიჯნა, რისთვისაც უნდა შეუთანხმდნენ  
დაინტერესებულ უწყებათ (არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა).

5. შეაჩერონ აღწერის გათავებამდე საზღვრების აღმინისტრაციული გა-  
დაწვევ-გადმოწვევა; ამასთანავე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომი-  
სარიატები ვალდებულ არიან ა/წ. სექტემბრის 1-სათვის მზად იქონიონ აღმინი-

სტრატეულ ერთეულთა სრული სიები: მაზრებისა, დაირებისა, აგარაკებისა, თემებისა და შემდგომი ძირითადი ერთეულებისა სოფლებითურთ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი ნ. სოკოლოვსკი.

ტფილისი-სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1252 №-ში 1925 წლის აგვისტოს 15-ს.

## დადგენილება № 32 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**709.** იმ სოფელთა სივრცის სავალდებულო გაზომვის შესახებ, რომელნიც 1926 წლის საბუდეებო დინამიურ აღწერაში შედიან.

1926 წლის დინამიური აღწერის დროს გლეხობის მიერ მიწათსარგებლობის შესახებ მოწოდებულ ცნობებისათვის შესწორებათა კოეფიციენტის მისაღებად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-სა გაზომონ იმ სოფელთა სარგებლობაში ქონებული მიწები და ცალკე სანახები, რომელნიც დინამიური აღწერის ბუდეში შედიან; გაზომვა უნდა მოხდეს ყველგან, სადაც მიწების გამიჯვნა სოციალისტური მიწათმოწყობის წესით ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

2. ბუდეთა და მათ შედგენილობაში შემავალ სოფელთა სიას სათანადო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო წარუდგენს რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი ნ. სოკოლოვსკი.

ტფილისი-სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1253 №-ში 1926 წლის აგვისტოს 18-ს.

# დადგენილება № 33 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**710.** მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ 1925 წლის იანვრის 5-ს თარიღითა და მე-3 №-ით (ა/კსფსრ კანონთა კრებ. 1925 წ. № 1, მუხ 333), ა/კსფსრ მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის საქმისათვის გრძელვადიანი შენობათა სესხის გასაცემად მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობის შესახებ 1925 წლის მაისის 21- თარიღითა და 31 №-ით (ა/კსფსრ კანონთა კრებ. 1925 წ. № 6, მუხ. 443) და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მოგებიდან მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდისათვის ანარიცხის გადადების შესახებ 1925 წლის სექტემბრის 18-ს თარიღითა და 45 №-ით (ა/კსფსრ კანონთა კრებ. 1925 წ. № 9, მუხ. 492) გამოცემულ დადგენილებათა გასაუქმებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაარსდება განსაკუთრებული ფონდები, რომელსაც შეადგენს ყველა ტრესტისა, სახელმწიფო და კომუნალურ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა (სამრეწველო, კომუნალური, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. ბანკები) მოგების საპროცენტო ანარიცხი, აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა მოგების ანარიცხი, რომელთა დამფუძნებელიც მარტოოდენ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან ან რომელთა აქციების (პაების) უმეტესობა ფაქტიურად ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია და, ბოლოს, ის პროცენტი, რაც მიღებულ იქნება აღნიშნულ ფონდების მიმდინარე ანგარიშით ან საპროცენტო ქაღალდებში მოთავსებით.

2. ანარიცხის რაოდენობა მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდისათვის დაწესებულია 10% და გადარიცხვა მოხდება სახელმწიფო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესით.

3. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი დანიშნულია იმ ღონისძიებათა ხარჯებისათვის, რაც მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად მე-4 და მე-6 მუხლშია აღნიშნული.

4. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის არა-ნაკლებ 75%-სა გამოიყოფა მუშათა ბინების ასაშენებლად და დაუშთავრებელი ბინების დასამთავრებლად, იმ ბინების შესაკეთებლად, რომელიც, მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის სახსარით არის აშენებული და მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის საქმისათვის გრძელვადიანი სესხის მისა-

ცემაღ; ამასთანავე დაბრუნებული სესხი და მისი პროცენტი მუშათა საბინაო აღმშენებლობის ფონდში მიიქცევა.

5. ანარიცხის უმეტესკლებო რაოდენობას, რაც მუშა-მოსამსარურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან, ამა დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის უნდა გადახდოს, ყოველწლიურად დააწესებს:

ა) ამიერკავკასიის სავაჭრო საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათათვის და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა აქციების (პაების) უმეტესობა ფაქტიურად სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, ან რომელთა დამფუძნებელიც მარტოოდენ ისეთი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, რანიც, მათივე წესდების თანახმად, ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას არ ისახავენ, — ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა ბინების აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის წარდგენით;

ბ) რესპუბლიკანურ, კომუნალურ, ადგილობრივ სავაჭრო საწარმოთათვის და საკრედიტო დაწესებულებათათვის და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა აქციების (პაების) უმეტესობა ფაქტიურად სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, ან რომელთა დამფუძნებელიც მარტოოდენ ისეთი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, რანიც, მათივე წესდების თანახმად, ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას არ ისახავენ, — ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, იმავე რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა ბინების აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის წარდგენით;

გ) ტრესტებისა და სამრეწველო საწარმოთათვის და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა აქციების (პაების) უმეტესობა ფაქტიურად სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია ან რომელთა დამფუძნებელიც მარტოოდენ ისეთი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, რანიც, მათივე წესდების თანახმად, ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას ისახავენ, — ამ ტრესტისა თუ საწარმოს აღმინისტრაცია, სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

6. ის ნაწილი, რაც მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის საჭირო თანხის გამოკლების შემდეგ დარჩება (ამა დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლი), მოხმარდება სამკურნალო-სასანიტარო დახმარებისა (სავადმყოფოები, დასასვენებელი სახლები, სასანატორიუმო საწოლები, აბანო და სხვ.), ბავშვთა დაცვისა (ბავა, კერა და სხვ.), კვების გაუმჯობესებისა (სასადილოები, საჩაიები და სხვ.), კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისა (კლუბები, სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვ.) და სხვა საქმეს.

**შენიშვნა.** მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის სახსარი არ შეიძლება დაიხარჯოს ინდივიდუალური დახმარებისა, ჯილდოს ან ტანტიემისათვის და აგრეთვე მუშათა იმ საჭიროებისათვის, რაც გათვალისწინებულია კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

7. სახელმწიფო და კომუნალურ სამრეწველო საწარმოთა მოგების ანარიცხი მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა მოგების ანარიცხი, რომელთა დამფუძნებელნიც მარტოოდენ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, ან რომელთა აქციების უმეტესობა ფაქტიურად ისეთ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, რანიც, მათივე წესდების თანახმად, ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას ისახავენ, — დარჩება სათანადო საწარმოსთან სპეციალური ფონდის შესაქმნელად, რომელი ფონდიც მოხმარდება მარტოოდენ მუშათა საბინაო აღმშენებლობას და მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ სხვა ღონისძიებათა განხორციელებას, თანახმად ამა დადგენილების მე-4 და მე-6 მუხლისა, და დაიხარჯება სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

8. ის თანხა, რაც საბინაო აღმშენებლობისათვის გადადებული იქნება ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ სახელმწიფო და კომუნალურ სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებათა მოგების ანარიცხიდან, და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა მოგების ანარიცხიდან, რომელთა დამფუძნებელნიც მარტოოდენ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან ან რომელთა აქციების უმეტესობა ფაქტიურად ისეთ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, რანიც, მათივე წესდების თანახმად, ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას არ ისახავენ, — შედის მუშათა ბინების აღმშენებლობის სათანადო დამხმარე კომიტეტის საბინაო-სააღმშენებლო ფონდში.

9. მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის ის ნაწილი, რაც მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის საჭირო თანხის გამოკლების შემდეგ (ამა დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად) დარჩება სახელმწიფო და კომუნალურ სავაჭრო საწარმოს ან საკრედიტო დაწესებულებას და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებას, რომლის დამფუძნებელნიც მარტოოდენ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან ან რომლის აქციების უმეტესობა ფაქტიურად ისეთ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, რანიც ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას არ ისახავენ, — დარჩება სათანადო დაწესებულებასა თუ საწარმოსთან სპეციალური ფონდის შესაქმნელად, რომელი ფონდიც მოხმარდება მარტოოდენ ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა განხორციელებას, ამა დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, და დაიხარჯება სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

10. ფონდის თანხა ინახება ერთ-ერთ სახელმწიფო ან კომუნალურ საკრედიტო დაწესებულებაში.

11. ანარიცხის გადადება მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდისათვის ტრესტებსა, სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოში და იმ სააქციო საზოგადოებაში, რომლის დამფუძნებელნიც მარტოოდენ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, და აგრეთვე ამა დადგენილებით განსაზღვრული წესი ფონდის დახარჯვისა — განხორციელება დაწყებული 1923-24 საბიუჯეტო წლიდან, ხოლო კომუნალურ საწარმოში, საკრედიტო და-

წესებულებაში და იმ სააქციო საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობა სჭარბობს—დაწყებული 1924-25 საბიუჯეტო წლიდან.

**შენიშვნა 1.** სათანადო თანხა საკრედიტო დაწესებულებათა და სააქციო საზოგადოებათა (სადაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს) 1924-25 წლის ბალანსით—მიიტყევა მუშათა ბინების აღმშენებლობის სათანადო ფონდში მარტოდენ იმ ნაწილის ფარგალში, რაც მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან ამა დადგენილების გამოცემამდე დაუხარჯავი დარჩა.

**შენიშვნა 2.** დადგენილება ესე არ ვაგრცელებს იმ ანარიცხზე, რაც მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში ფაქტიურად უკვე შესულია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ნ. ხოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1253 №-ში 1926 წლის აგვისტოს 18-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**711.** ამიერკავკასიის დეპუტათა სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1925 წლის თებერვლის 16-ს დადგენილების (აკსფსრ კანონთა კრებ. 1925 წ. № 2, მუხ. 371) შესაცვლელად დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე 1926 წლის აგვისტოს 9.



## დაგულავა ამიერკავკასიის დეპუტატთა სააგენტოს შესახებ.

1. ამიერკავკასიის დეპუტატთა სააგენტო არის აქსტერ საინფორმაციო ორგანო, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს — შეაგროვოს და გაავრცელოს აქსტერ ტერიტორიაზე პოლიტიკური, ფინანსური, ეკონომიური, სავაჭრო და საერთო ინტერესის მქონე ცნობები, რაც შეეხება აქსტერ, სსრ კავშირსა და უცხო სახელმწიფოთ, და აგრეთვე გადასცეს ამიერკავკასიის ინფორმაცია სსრ კავშირის დეპუტატთა სააგენტოს.

2. ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად ამიერკავკასიის დეპუტატთა სააგენტო:

ა) მოაწყობს მთლად აქსტერ ტერიტორიაზე განყოფილებებს და საკორესპონდენტო პუნქტებს, რომელნიც იმოქმედებენ სააგენტოს მიერ გამოცემული ინსტრუქციების საფუძველზე;

ბ) ისარგებლებს იურიდიული პირის ყველა უფლებას და იქონიებს დამოუკიდებელ ხელშეკრულებითი ურთიერთობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან და კერძო პირთან აქსტერ ტერიტორიაზე;

გ) დააწესებს და მიიღებს, აქსტერ ფარგალში, სასყიდელს თავისი საინფორმაციო ცნობებისა და გამოცემებისათვის.

შენიშვნა. ამიერკავკასიის დეპუტატთა სააგენტოს ბეჭდვითი გამოცემა შეიძლება გაიყიდოს აქსტერ ფარგალში.

დ) გადასცემს სსრ კავშირის დეპუტატთა სააგენტოს, ამ უკანასკნელის დავალებისამებრ და აგრეთვე საკუთარი ინიციატივით, პოლიტიკურ, საფინანსო ეკონომიურ, სავაჭრო და სხვა ინფორმაციას, რასაც ზოგადი ან სპეციალური ინტერესი აქვს და აქსტერ შეეხება;

ე) ისარგებლებლებს განსაკუთრებულ უფლებას, რათა გაავრცელოს აქსტერ ტერიტორიაზე საერთო საკავშირო და უცხოეთის ინფორმაცია, რისთვისაც იხელმძღვანელებს სსრკ დეპუტატთა სააგენტოს საერთო დირექტივას;

ვ) მოაწყობს საკორესპონდენტო პუნქტებს საზღვარგარეთ სსრკ ცენტრალმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სსრკ დეპუტატთა სააგენტოს შესახებ 1925 წლის ივლისის 10-ს დამტკიცებული დებულების (კანონთა კრებ. 1925 წ. № 43, მუხ. 323) საფუძველზე.

3. ამიერკავკასიის დეპუტატთა სააგენტო აქსტერ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს.

4 ამიერკავკასიის დეპუტატთა სააგენტოს სათავეში სდგას დირექტორი, რომელსაც დანიშნავს აქსტერ სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის დეპუტატთა სააგენტოს საბჭოს წარდგენით.

5. ამიერკავკასიის დეპუტატთა სააგენტოს დირექტორი ხელმძღვანელობს გაუწევს მთლად სააგენტოს მოქმედებას და მის ხელშია სააგენტოს აღმასრულებელ-განმკარგულებული ნაწილი.

6. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს რწმუნებულებს აქსტერ რესპუბლიკებში დანიშნავს ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით.

7. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტებს დანიშნავს ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი.

8. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს ყველა რწმუნებულს და კორესპონდენტს ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო მისცემს სათანადო მოწმობას, რომლის ძალითაც რწმუნებულს და კორესპონდენტს უფლება აქვს დაესწროს ყველა ახდელ ყრილობას, კრებასა და სხდომას და აგრეთვე მიიღოს დაწესებულებათაგან საჭირო ცნობები გამოსაქვეყნებლად.

9. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო მოეწყობა სამეურნეო ჭანგარიშის პრინციპზე. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს სახსარს შეადგენს: ინფორმაციაზე ხელის მოწერის სასყიდელი და სხვა შემოსავალი, რაც დაკავშირებული იქნება ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს მოქმედებასთან.

10. ფინანსიური ურთიერთობა ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს და სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს შორის მოწესრიგდება მათ შორის დადებული სამისო შეთანხმებით.

11. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს უფლება აქვს გამოიყენოს მთლად სსრ კავშირის ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის ყოველი საშუალება იმ შეღავათიანი ტარიფით, რაც სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოსათვის არსებობს.

12. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს დეპეშები გადაიცემა მთავრობის დეპეშების შემდეგ, თანაბარ კერძო დეპეშებზე აღრე. ხოლო სააგენტოს ისეთი დეპეშა, სადაც სიტყვა-სიტყვით მოყვანილი იქნება მთავრობის დეკრეტები და განკარგულებები და აგრეთვე საბირჟო დეპეშა—გადაიცემა მთავრობის დეპეშების წესით.

13. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს აქვს ყველა სააგენტო უფლება იმ ინფორმაციაზე, რაც მის მიერ კავშირგაბმულობის რაიმე საშუალებით გავრცელებულ იქნება, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სააგენტო უფლების შესახებ მომქმედ კანონმდებლობათა თანახმად.

14. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს ცენტრალური სამმართველო ქუტილისშია.

15. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს აქვს თავისი ბეჭედი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1257 №-ში 1926 წელს აგვისტოს 22-ს.



## დადგენილება № 34 — სსსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**712.** მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონ-დიდან მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობის შესახებ.

აქსტერ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ 1926 წლის აგვისტოს 5-ს თარი-თა და 33 №-ით გამოცემული დადგენილების „(ზარია ვოსტოკა“-ს 1253 №-ი 1926 წ. აგვისტოს 18-სა) მე-5 მუხლის „ა“ პუქტის თანახმად აქსტერ სახალ-ხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუშათა საბინაო აღმშენებლობის საქმისათვის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობა ამიერ-კავკასიის ყველა სახელმწიფო სავაჭრო საწარმოსათვის, საკრედიტო დაწესებუ-ლებისათვის და იმ სააქციო საზოგადოებისათვის, რომლის აქციების (პაების) უმეტესობაც სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, ან რომლის დამფუძნებელნიც მარტოოდენ ისეთი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარ-მონი არიან, რომელნიც, მათივე წესდების თანახმად, ძირითად მიზნად სამრეწ-ველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას არ ისახავენ, —მათი 1925 წლის ოქტომბრის 1-ის ბალანსით, —განისაზღვროს 80%/-ით.

აქსტერ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ლუკაშინი.**

აქსტერ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ხ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი —სასახლე. 1926 წლის აგვისტოს 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1261 №-ში 1926 წლის აგვის-ტოს 27-ს.

## საზღადაგულ დადგენილება № 4 სსსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუნაებათაფორისო საბაბრო კომისიისა.

**713.** ქ. ტფილისსა, ბაქოსა, ერევანსა და ბათომში ცალობითი ვაჭ-რობისათვას საზომთა მეტრული სისტემის შემოღების შუ-სახებ.

1926 წელის აგვისტოს 12.

აქ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების მე-11 §-ს „გ“ პუქტის აღსასრულებლად აქ. სა-უწყებათაფორისო სამეტრო კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1926 წლის ოქტომბრის 1-დან ქ. ტფილისსა, ბაქო-სა, ერევანსა და ბათომში წონისა, სიგრძისა და მოცულობის საზომთა მეტრულ-ის სისტემა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო ცალკობითი ვაჭრობის ყველა სახისათვის როგორც დახურულ სადგომში, ისე კარავში, ფეხზე და ბა-ზარზე ვაჭრობისათვის და სხვ.

2. ესე სავალდებულო დადგენილება, განსაკუთრებული განკარგულების გამო-ცემამდე, არ გავრცელდება: ა) ღვინისა, არყისა, სპირტისა, ლიკიორისა, სპირტზე დაყენებული სასმელისა და მაგრილებელი სასმელის ცალკობით ვაჭრობაზე, ბორ-ჯომის წყალის გარდა და ბ) იმ გლეხებზე, რომელნიც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ქალაქებში მოდიან და თავის პროდუქციას ჰყიდიან ხელზე, ურმეზე, ტომრით ან გლეხთა ვაჭრობის სხვა სახით, თუნდაც ისინი უპატენ-ტოდ ვაჭრობდნენ.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის აღსასრულებლად ყველა სახელმწი-ფო, კოოპერატიული და კერძო საწარმო და აგრეთვე კერძო პირი, ვინც ცა-ლობით ვაჭრობას ეწევა. ვალდებულია ზემოაღნიშნული ვადისათვის იქონიოს შემმოწმებელი პალატის მიერ დალდასმული მეტრული სისტემის სასწორი, გი-რები და სხვა საზომ-საწონი.

ძველი საზომ-საწონით საქონლის გაცემა ოქტომბრის 1-დან აკრძალულია.

4. ყველა დახურულ სადგომში და აგრეთვე კარავში, სადაც ცალკობითი ვა-ჭრობა სწარმოებს, თვალსაჩინო ადგილას გამოკიდულ უნდა იქნეს საქონლის ფა-სების კედლის ცხრილი სათანადო სავაჭრო ერთეულების მიხედვით (კილოგრამ-ში, მეტრი, ლიტრი და სხვ.).

**შენიშვნა.** 1) საქონლის ფასების ცხრილს შედგენისათვის ძირითა-დი მასალა არის ცენტრალური სამეტრო კომიტეტისა, აქ. საუწყებათა-შორისო სამეტრო კომისიისა ან და საზომ-საწონთა მთავარი პალატის მიერ დამტკიცებული ოფიციალური, ფასების გადასატანად შემუშავებუ-ლი, ცხრილები. 2) იმ საქონლისათვის, რომლის შეფასებაც ძველად გირ-ვანქობით სწარმოებდა; აკრძალულია 400 გრამით შეფასება; ამ კატეგო-რიის საქონლისათვის დაწესებულია კილოგრამებით შეფასება; ამასთან ერთად შეფასება შეიძლება სწარმოებდეს 500 და 100 გრამით. 3) იმ სა-ქონლისათვის, რომელიც ჩვეულებრივად უფრო წვრილ-წვრილად იწონება დაწესებულია 1, 10 და 100 გრამობით შეფასება სავაჭრო საწარმოს შე-ხედულებისამებრ—საქონლის კატეგორიის მიხედვით.

5. აქსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ეკონომიური თათბი-რების სავანგებო რწმუნებულებს დაეკისრებათ მიიღონ სათანადო ღონისძიებანი, რათა მთლად ცალკობითი ვაჭრობა თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნეს მე-ტრული სისტემის საზომ-საწონთა საჭირო რაოდენობით და აგრეთვე თვალყური ადევნონ ამა სავალდებულო დადგენილების თავის დროზე შესრულებას.

6. ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება დაეკისრებათ ქ. ტფილისისა, ბაქოს, ერევანისა და ბათომის საქალაქო აღმასრულებელ კომიტე-ტებს და აგრეთვე აქ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს აქსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში.

7. ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი და კერძო პირი პასუხს აგებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის

სახალხო კომისარი ერქომაიშვილი.

ამიერკავკასიის საუწყებთათმორისო

სამეტრო კომისიის თავმჯდომარე პროფ. ზავრიევი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1264 №-ში 1926 წლის აგვისტოს 31-ს.